ვებგვერდი

26/12/2014

სარეგისტრაციო კოდი

010250000.35.152.016207

# დუშეთის მუნიციპალიტეტის საკრებულო

## დადგენილება №43

2014 წლის 25დეკემბერი

ქ. დუშეთი

**სახელმწიფოს ან ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულის 100%-იანი წილობრივი მონაწილეობით შექმნილი კერძო სამართლის იურიდიული პირების დუშეთის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე მშენებლობის ნებართვისათვის ადგილობრივი მოსაკრებლის გადახდის ვალდებულებისაგან გათავისუფლების შესახებ**

საქართველოს ორგანული კანონის,,ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის“ 61-ე მუხლის პირველი, მე-2 ნაწილის, ,,ადგილობრივი მოსაკრებლების“ შესახებ საქართველოს კანონის მე-3 მუხლისპირველი პუნქტის და მე-4 მუხლისმე-4 პუნქტის შესაბამისად, დუშეთის მუნიციპალიტეტის საკრებულო ადგენს:

მუხლი 1.

1. სახელმწიფოს ან ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულის 100%-იანი წილობრივი მონაწილეობით შექმნილი ის კერძო სამართლის იურიდიული პირები, რომლებიც დუშეთის მუნიციპალიტეტში ახორციელებენ წყალმომარაგების სისტემის სამშენებლო-სარეაბილიტაციო სამუშაოებს, გათავისუფლდნენ მშენებლობის (გარდა განსაკუთრებული მნიშვნელობის რადიაციული ან ბირთვული ობიექტების მშენებლობისას) ნებართვისათვის ადგილობრივი მოსაკრებლის გადახდის ვალდებულებისაგან.

2. ამ მუხლით გათვალისწინებული შეღავათი გავრცელდეს დუშეთის მუნიციპალიტეტში მშენებლობის ნებართვის გაცემის მიზნით პირველ პუნქტში მითითებული სუბიექტების მიერ წარმოდგენილ პროექტებზე.

მუხლი 2.

პირველი მუხლით გათვალისწინებული შეღავათი მოქმედებს 2016 წლის პირველ იანვრამდე.

მუხლი 3.

დადგენილება ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე.

საკრებულოს თავმჯდომარე გიორგი ლაფანაშვილი